12 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის VII ტურის 6 მატჩი (ორი შეხვედრა, როგორც ცნობილია, გადადებულია).

„ჟალგირისი“ (ვილნიუსი) – „დინამო“ (თბილისი) 3:1 (1:1).

ვილნიუსი. „ჟალგირისის“ სტადიონი. 12 აპრილი.

„ჟალგირისი“: იურკუსი, იაკუბაუსკასი, სუკრისტოვი, მაჟეიკასი, იანონისი, პანკრატიევი (ბუზმაკოვი, 64), ბარანაუსკასი, ივანაუსკასი (ტამილავიჩუსი, 76), რუზგისი, რასიუკასი, ნარბეკოვასი.

„დინამო“: გაბელია (აბუსერიძე, 46), სვანაძე, ჩივაძე, ჭედია, მალანია, კაკილაშვილი, კორღალიძე (ბიგვავა, 87), აფციაური, ცაავა, ჩელებაძე, შენგელია.

მსაჯი ვ. ლისენკო (ოდესა).

გააფრთხილეს ზ. სვანაძე.

დუბლიორები - 3:1. თბილისელთაგან ერთი ბურთი გაიტანა ბიგვავამ.

ამ ორი გუნდის საკავშირო ჩემპიონატების შეხვედრათა ისტორიაში სულ 12 მატჩია ჩატარებული, 7 მოიგეს თბილისელებმა და მხოლოდ ერთი - ვილნიუსელებმა. მაგრამ ისტორია წარსულის ამბავია. ახლა კი ჯერჯერობით გათამაშების წამყვან ჯგუფში სწორედ „ჟალგირისი“ იმყოფება. თბილისის „დინამო“ კი ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. ეს მატჩიც მეტოქეთა ამ განლაგების შესაბამისად წარიმართა.

მასპინძლებმა თავიდანვე სცადეს ინიციატივის ხელში აღება, დინამოელებს დაცვაზე მოუხდათ ფიქრი, მაგრამ მე-13 წუთზე „ჟალგირისის“ მხარეს კუთხური დაინიშნა. კაკილაშვილმა მოაწოდა, ბურთი მცველებს გაცდა, კარის მარცხნივ კი უმეთვალყურეოდ აღმოჩნდა ჭედია - 1:0.

პირველი გოლი საკავშირო ჩემპიონატის მატჩში დიდი სტიმულია. თბილისელებმა შემდგომი ათიოდე წუთის მანძილზე კიდევ ორი სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქეთა კართან. ერთ შემთხვევაში კარგად ითამაშა მეკარე იურკუსმა, მეორეში კი კორღალიძემ ითამაშა არაზუსტად. შემდგომში ვილნიუსელები თანდათან დაეუფლნენ ინიციატივას. ისინი განსაკუთრებით ეფექტურად მოქმედებდნენ შეტევის ფლანგებზე. ტაიმის დასასრულს, 44-ე წუთზე, რუზგისმა წამოიწყო იერიში. იგი საპასუხო გოლით დაამთავრა ბარანაუსკასმა - 1:1.

შესვენების შემდეგ „ჟალგირისის“ ფეხბურთელები მთლი შესაძლებლობით, მობილიზებით მოქმედებდნენ. დინამოელთა კონტრშეტევის დროს მათი მცველები უნარიანად ქმნიდნენ ხელოვნურ თამაშგარე მდგომარეობას და თავიანთ საჯარიმო მოედნამდე ანეიტრალებდნენ შესაძლო სახიფათო ვითარებას.

მიმდინარეობდა მე-60 წუთი, როცა ფლანგიდან მოწოდებულ გადაცემაზე სწრაფად გავიდა ნარბეკოვასი. ნახტომში მთელი თავით აჯობა მოპირდაპირე მცველებს და ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში - 2:1.

ვილნიუსელები დაწინაურდნენ. მათი თამაშიც უფრო დაჯერებული, საფუძვლიანი გახდა. 68-ე წუთზე ბარანაუსკას-ნარბეკოვასის კომბინაცია მესამე გოლით დამთავრდა. დინამოელმა მცველებმა აქაც შეცდომა დაუშვეს და მასპინძლები უკვე საიმედოდ დაწინაურდნენ - 3:1.

დარჩენილი დროის მანძილზე ვილნიუსელებს აღარ გასჭირვებიათ ანგარიშის შენარჩუნება.

ზურაბ ფოცხვერია
(„ლელოს“ სპეც. კორ.)
ლელო 14.04.1987